ოქმი N1

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ პირველი სხდომისა

3 დეკემბერი, 2021 წელი

ფრაქციის სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: კახა ბუცხრიკიძე, რამინი რობაქიძე, დავითი ცხადაძე, ამბერკი დოლაკიძე კობა კირკიტაძე, ნატალია ასათიანი, თამარ ახვლედიანი, მერაბი ბასილაძე

სხდომა გახსნა ფრაქციის წევრმა, კახა ბუცხრიკიძემ, მან წარმოადგინა სხდომის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების შესახებ
2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წესდების დამტკიცებისა და ამ ფრაქციის დაფუძნების შესახებ შესაბამისი მასალების თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიისათვის წარდგენის შესახებ
3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევის შესახებ
4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ფრაქციის პირველი სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **დღის წესრიგის პირველი საკითხის – თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების შესახებ**

ზემოაღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, კახა ბუცხრიკიძემ. მან აღნიშნა: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, უფლება გვაქვს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

წარდგინებით, საკრებულოში არჩეული საკრებულოს წევრებისაგან შევქმნათ ერთი ფრაქცია, რომელსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახელწოდება. მიზანშწონილად ვთვლი, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ პარტიით წარდგენილ საკრებულოს წევრთაგან დაფუძნებულ ფრაქციას ეწოდოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა".

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ფრაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრის, კახა ბუცხრიკიძეს წინადადებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დაფუძნების თაობაზე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დაფუძნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საკრებულოს შემდეგი წევრების შემადგენლობით;

1. კახა ბუცხრიკიძე
2. რამინი რობაქიძე
3. დავითი ცხადაძე
4. ამბერკი დოლაკიძე
5. კობა კირკიტაძე
6. ნატალია ასათიანი
7. თამარ ახვლედიანი
8. მერაბ ბასილაძე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მეორე საკითხის – **თერჯოლის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" **წესდების** დამტკიცებისა და ამ **ფრაქციის** დაფუძნების **შესახებ** შესაბამისი მასალების **თერჯოლის** მუნიციპალიტეტის **საკრებულოს** სამანდატო დროებით კომისიისათვის **წარდგენის** შესახებ

ფრაქციის წესდების პროექტი წარმოადგინა ფრაქციის თავმჯდომარემ, კახა ბუცხრიკიძემ.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრებმა: ამბერკი დოლაკიძემ , კობა კირკიტაძემ აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის დამტკიცებას წარმოდგენილი სახით .

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, კახა ბუცხრიკიძე შემოვიდა წინადადებით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, თერჯოლაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების თაობაზე შესაბამისი მასალების თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიისათვის მიწოდების თაობაზე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წესდება დამტკიცდეს წარმოდგენილი რედაქციით.

(ფრაქციის წესდება ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მესამე საკითხის – **თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევის შესახებ**

ფრაქციის წევრმა, რამინი რობაქიძემ ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, კახა ბუცხრიკიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრმა, ამბერკი დოლაკიძემ, ნატალია ასათიანმა და თამარ ახვლედიანმა.

ფრაქციის წევრებმა: ალეკო დოლაკიძე,კობა კირკიტაძე,ნატალია ასათიანი, თამარი ახვლედიანი,მერაბი ბასილაძე,დავითი ცხადაძემ, რამინი რობაქიძემ მხარი დაუჭირეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე საკრებულოს წევრის, კახა ბუცხრიკიძის კანდიდატურას.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, **კახა ბუცხრიკიძე.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის – თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ფრაქციის წევრებმა: ამბერკი დოლაკიძემ, კობა კირკიტაძემ, თამარ ახვლედიანმა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობაზე დაასახელეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების: რამინი რობაქიძის და დავითი ცხადაძის კანდიდატურები

ღია კენჭისყრით, ერთხმად, დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: რამინი რობაქიძე, დავითი ცხადაძე.

მუხლი 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მასალები ამ ფრაქციის დაფუძნების შესახებ, მისი საკრებულოში რეგისტრაციის მიზნით, წარედგინოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას განსახილველად.

ამით, ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა“თავმჯდომარე კახა ბუცხრიკიძე